თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5646504

ნომერი: AR1855051

თარიღი : 11.10.2021

გაცემის თარიღი : 21.10.2021

გაცნობის თარიღი : 21.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნავთლუღის ქუჩა, N 10, კორპუსი 1, კორპუსი 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 11 ოქტომბრის №AR1855051 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ამავე სამსახურის 2021 წლის 2 აგვისტოს №5528159 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 20 ოქტომბრის №5644277 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სრულად, კერძოდ კომერციულ ფართობებში ისევ არასწორად არის ჩათვლილი კოლონების ფართობები, ასევე „ფოიეს“ ფართობში არასწორად არის ჩათვლილი საჰაერო შახტის ფართობები. ამასთან, -3.100 ნიშნულის გეგმაზე კორიდორი არის არა 34.5 კვ.მ., როგორც განმარტებაშია აღნიშნული, არამედ 27.9 კვ.მ., როგორც შეთანხმებულ გეგმაზეა დაფიქსირებული. ასევე, -3.100 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ლიფტის შახტის ფართობი არ არის ჩათვლილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში, გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ ამ ნიშნულის გეგმაზე არსებული ლიფტის შახტის ფართობი უნდა იანგარიშოთ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში, ხოლო ლიფტის სამანქანე ჩათვლილ უნდა იქნეს დამხმარე ფართობში.
კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვა კომერციულ, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე საერთო ფართობებთან მიმართებით. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 2 აგვისტოს №5528159 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გეგმებზე და ექსპლიკაციებზე შესწორებული კომერციული, დამხმარე, ასევე კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 20 ოქტომბრის №5644277 ბრძანებას გაეცანით 2021 წლის 20 ოქტომბერს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 11 ოქტომბრის №AR1855051 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
